08.11.2021

ახალგაზრდა ეკონომისტების კონკურსი

ახალგაზრდა ეკონომისტების კონკურსი ეროვნული ბანკის ინიციატივით ტარდება. კონკურსის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერ სტუდენტთა შორის საუკეთესოები.

ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?

- ბაკალავრიატის მე-3 ან მე-4 კურსის სტუდენტებს
- მაგისტრატურის სტუდენტებს

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობენ.

რა თემაზე უნდა წარმოადგინონ ნაშრომი?

ქვემოთ მოცემულია ექვსი თემა ორი სხვადასხვა მიმართულებიდან:

<u>მაკროეკონომიკა</u>

1. მცირე ზომის ღია ეკონომიკების, მათ შორის საქართველოს, შედარება მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო ჩარჩოს კუთხით (ვინ რა რეჟიმსა და ინსტრუმენტებს იყენებს და რამდენად წარმატებულია ისინი მაკრო დონეზე, როგორც ინფლაციისა და მშპ-ს დონის, ასევე მათი მერყეობის კუთხით)
2. მაკროეკონომიკური პროგნოზების შეჯიბრი, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც მეთოდოლოგია, როგორ გაკეთდა პროგნოზი, ასევე ამ პროგნოზის საიმედოობის ხარისხის შეფასება და შინაარსობრივი ახსნა (story), რაც გულისხმობს პროგნოზის ჰორიზონტზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განხილვას.
3. პანდემიის გავლენების და მასზე მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების რეაგირების შედარება. რომელმა ქვეყანამ რა მონეტარული/ფინანსური/ფისკალური ინსტრუმენტით შეძლო უკეთესი ეკონომიკური შედეგის მიღწევა.

<u>ფინანსური სტაბილურობა</u>

1. ფინანსური სექტორის ძირითადი მაჩვენებლების პროგნოზი (სესხების ზრდა, მომგებიანობა, უმოქმედო სესხების წილი)
2. საქართველოს ფინანსურ სექტორზე პანდემიის გავლენის შედარება სხვა ქვეყნებთან. (ფინანსურ სექტორთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები, ფინანსური სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა, ფინანსური სექტორის რეაგირება და მისი გავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე).

3. ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში გატარებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების გავლენის შეფასება.

სტუდენტებს თემის არჩევისას ექნებათ თავისუფლება. მიმართულებების შესაბამისად ჯამში 2 გამარჯვებული გამოვლინდება (მაკროეკონომიკის მიმართულებიდან - 1 და ფინანსური სტაბილურობის მიმართულებიდან - 1).

რა უნდა გააკეთოთ?

დაინტერესებულმა კანდიდატმა დავალების შესასრულებლად უნდა გამოაგზავნოს არჩეული თემის პირველადი წინადადება და აბსტრაქტი/რეზიუმე. პირველადი წინადადება უნდა იყოს ერთი გვერდი, ქართულ ენაზე, და მასში უნდა აისახოს აპლიკანტის ცოდნა საკითხის მიმართ, თემის მიზანი, თემის სტრუქტურა და ეტაპები, თუ როგორ წარმოუდგენია მისი განხორციელება. შერჩეულ კანდიდატებთან მოხდება დისტანციური ან ადგილზე კონსულტაცია.

პირველადი წინადადება და აბსტრაქტი/რეზიუმე უნდა გამოიგზავნოს ელ.ფოსტაზე - youngeconomists@nbg.gov.ge 2021 წლის 8 ნოემბრიდან 2021 წლის 29 ნოემბრამდე.

კონკურსანტმა წერილის სათაურად უნდა მიუთითოს - "ახალგაზრდა ეკონომისტების კონკურსი“
ნაშრომი დაასათაუროს საკუთარი სახელი და გვარით, ხოლო შეტყობინების შინაარსში მიუთითოს სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

მეორე ეტაპზე გადავა 10 ნაშრომი (5 თითოეული მიმართულების მიხედვით). მეორე ეტაპზე შერჩეულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ნაშრომი, ქართულ ენაზე. ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 40 გვერდს.

ნაშრომი უნდა გამოიგზავნოს ელ.ფოსტაზე - youngeconomists@nbg.gov.ge 2021 წლის 13 დეკემბრიდან 2022 წლის 14 თებერვლამდე.

შეფასების კრიტერიუმები

- საკითხის აქტუალურობა, კვლევის სიახლე
- თეორიულ-მეთოდოლოგიური შესაბამისობა
- ლოგიკა და არგუმენტაცია, ადეკვატური ინტერპრეტაცია
- დასკვნების შესაბამისობა მიღებულ შედეგებთან, დასახულ მიზანსა და საკვლევ ამოცანებთან
- ტექსტის სიცხადე
- ტექსტის სტრუქტურა, აკადემიური ციტირების სტილი
- პლაგიატის დაუშვებლობა (plagiarism-free) - ნაშრომში დაუშვებელია პლაგიატი - მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე)

ჯილდო

- გამარჯვებულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაიარონ 3-თვიანი ანაზღაურებადი (1000 ლარი, დარიცხული) კვლევითი სტაჟირება. ასევე, საშუალება მიეცემათ, კონსულტაცია გაიარონ ეროვნული ბანკის ექსპერტებთან, მათი დახმარებით მკაფიოდ ჩამოაყალიბონ საბაკალავრო/სამაგისტრო თემის მიზანი, ამოცანა, გადაჭრის გზები და საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის საშუალებით, მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია.
- გამარჯვებულ კანდიდატებს Job Shadowing-ის შესაძლებლობაც მიეცემათ. გამარჯვებულები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ერთად გაატარებენ ერთ სრულ სამუშაო დღეს, დაესწრებიან პრეზიდენტის ყველა საქმიან შეხვედრას და მონაწილეობას მიიღებენ ყველა დაგეგმილ ღონისძიებაში.
- ორივე გამარჯვებულის შესახებ ეროვნული ბანკი გადაიღებს ვიდეო-პროფილს, სადაც ისინი ისაუბრებენ თემის შესახებ.

გამარჯვებული მონაწილეების გამოვლენის ვადები და ჟიურის წევრები

ნამუშევრების განხილვასა და შეფასებას მოახდენს შემდეგი 5 წევრისგან შემდგარი კომისია:

<u>მაკროეკონომიკის მიმართულება</u>

1. გიორგი ბაქრაძე - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი
2. თამარ ბაიაშვილი - საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
3. დავით თუთბერიძე - საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილების უფროსი

<u>ფინანსური სტაბილურობის მიმართულება</u>

4. დავით უტიაშვილი - საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის უფროსი
5. ალექსანდრე ერგეშიძე - საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ანალიზის განყოფილების უფროსი

გამარჯვებული ნამუშევრები გამოვლინდება 2022 წლის პირველ მარტს და ინფორმაცია

საქართველოს ეროვნული ბანკის სოციალური მედია პლატფორმებზე განთავსდება.